

ქართული  
პრესისთვის

# მეცხემსი

1883-1886.

—\* ძმუკმსია დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ ყოველი თვის ათს. ოცს ღ ოც და ათ რიცხვებში \*—


ძნელი დრო დაგვიღვა და რა ზომები უნდა მიხმაროთ ხალხში ზნეობის ასაბაღვალად.

ორ გვარი ბუნება კაცისა, რომელიც რაღაც საწაულისსახით იტევსთვის შორის ისეთ ორს სრულად არსებითად სხვა და სხვა ელემენტს—სხეულსა და სულს, ბოლოდებულს და უბოლოვოს, სიკვდილს და უკვდავებას, მიწასა და ცას,—ყოველთვის, მას აქვთ, რაც კი ის ქვეყანაზედ მოვლინებულა, იყო იმას მიზეზი, რომ კაცი არასოდეს არ ყოფილა თავისუფალი შინაგანი ბრძოლისგან, ან ასე სვთქვათ—თავისი არსების უმთავრეს სტიქიონთა შორის, რომელშიაც (ბრძოლაში) გამარჯვება დრო შექცევ ხან სხეულს და ხან სულს რჩებოდა ხოლომე. მს არის საზოგადო ტიპიური მოვლენა, რომელიც ერთნაირად განასხვავებს ცხოვრებას როგორც მთელი კაცობრიობისას, ცალკე სახელმწიფოთა, საზოგადოებათა, ისე ცალკე პირათაც. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ბრძოლაში საუკეთესო ბოლოდ ყოველთვის ითვლება ძლიერა მოსიღება სულისა სხეულზედ. შედნიერეს ეპოქად, ოქროვან საუკუნობათ ითვლებიან ის ხანები კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ყოველივე ფიზიკურს, ნივთიურს, ხორციელს ჰქონდა მხოლოდ ხელ-ქვეითი მნიშვნელობა დასაკმაყოფილებლად მაღალ მოთხოვნილებათა კაცის უკვდავი ნახევარი ნაწილის—სულისა. თუმცა ამისთანა ხანები ცოტა არიან, მაგრამ სამაგიეროდ ყველაფერი, რაც კი რამ უანდერძია ჩვენთვის წარსულ კაცობრიობას საუკეთესო სამეცნიერო, ესტეტიური თუ რელიგიური სფერიდგან,—მთლად ეკუთვნის ამ ხანებს, რომლებიც, კაშკაშ წარსულსავედით, განფანტენ ღრმა სიბნელს

წარსულ საუკუნეთა, ძეთილს ხომ ყოველთვის თან ბოროტიც დაზღვეს და რაღა თქმა უნდა, რომ წარსულ საუკუნეებში მრავალნი არიან ისეთი ბნელით მოსილი ხანები, როდესაც ბურთი და მოედანი ეჭირა კაცის დაცემულობას, მდაბალს მაღალზე, საზიზღარს კეთილ-მობილზე, ბოროტებას კეთილზე, სიბნელს სინათლეზე—ერთის სიტყვით—ხორცის სულზე გამარჯვებას, გადაჭარბებას. მს არიან დრონი კაცის ზნეობის რეული დაღობისა და განხრწნილებისა. თუ პროგრესი, ყოველ მხრიული აღყვავება ცხოვრების, საყოველთაო კეთილ-დღეობა, კანამტკიცებელი და უზრუნველ მყოფელი კერძო, თეთოფულ პირთა ბედნიერების სრული მართლმსაჯულება, მოწყალება და სხვა ამ გვარნი ქველმოქმედებანი და სათნოებანი განასხვავებენ სულის ხორცზე ბატონობის ეპოქათა, სამაგიეროდ რეგრესი, უკულმართობა საყოველთაო განხრწნილება ცხოვრების, გაუმძღრობა კერძო პირთა, რომელთაც არ ესმოდათ არც საზოგადო კეთილ-დღეობა,—ძალადობა (кулачное право) და სხვ. მუდამ თან ახლდენ სხეულის ძლიერას სულზე.

ამარა! ჩვენ აღარ მოვწყენთ ჩვენს პატივცემულს მკითხველებს ბევრის ლაპარაკით ამ ორს უმთავრეს ნაკეცზე კაცის ცხოვრებისა. ჩვენ ვლაპარაკობთ წარსულზე იმიტომ, რომ მოვჭვინოთ ნათელი აწმყოს და უფრო ცხადად დაინახოთ, თუ რა უფრო მძლავრობს და ძლიერა მოსილობს ჩვენს დროს როგორც საზოგადოებრივს, აგრეთვე კერძო ცხოვრებაში,—ხორცი თუ სული.

აღარავენ აღარ ეჭვობს, რომ ჩვენი საუკუნე არის უმეტესად ისეთი საუკუნე, რომელიც



შიზღევს ნივთიერ ქონებათა განშრავლებას, სხეულის უზრუნველ ყოფას და დაცვას, ვიდრე განშხადებას თავისთვის ზეციური სასუფეველისა, სულის შემკობას შალალი სათნოებებით, ღირსებით და სხონებას მისას. არ გავა კვირა, არ გავა თვე, რომ თქვენ არ გაიგონათ. ან არ წაიკითხოთ რომელიმე ახალს აღმოჩენილს ნივთიერს საშუალებაზე, რომელსაც თან მოზღვეს უთვალავი ახალი შედეგ-თი და სარგებლობა კაცის ბრძოლის გზაზე გარეშემოტყემულ ბუნებასთან, — მაკრამ ისე გადიან კვირები, თვეები, წლები, რომ ერთხელაც ვერ გაიგონებთ რამე ამ გვარს ცდაზე გააკეთონ, აღმოაჩინონ რამე ამისთანა შესახებ კეთილსაქმეთა განშრავლებისა, ზნეობის ამალღებისა და სარწმუნოებისა გაცხოველებისა. რამდენ ჯაფას და შოთმას ეწევიან ჩვენი მემოდე ქალები და კაცები იმისათვის, რომ რაც შეიძლება კობტად, ლამაზად, გადაპრანჭულად და ნაირ-ნაირად შეგვემოსონ? რამდენი გამჭკრიახობა და მზრუნველობა ამჩნევია დაუძინებელ შრომას და მეცადინეობას სამზარეულო ხელობის წარმომადგენელთა, რომ როგორმე უფრო მსუყე და გემრაველი საქმელებით გაგვაძღონ? რა საშუალებათა დაუზოგველობით, ჭკუის ძალ-დატანებით და საოცრად მამაცურის თავ-გამომეტებით მუშაობენ ჩვენი ინჟინრები და სხვა-და-სხვა სარკინისგზო კომპანიები ყოველ გვარი გზების გასაყვანად, რომ რამდენადაც შეიძლება დაამცირონ ჩვენი ურთიერთ შორის მისვლა-მოსვლის სიძნელე დედამიწაზე? ბოლოს რა სიხარბეს შოვნა-გამდიდრებისადმი, სინაფესს და ანგარების მოყვარებას ეხედავთ ყოველგან, თითქმის იქაც კი, სადაც ცხოვრების «ღვეიზად» საჯაროდ აღიარებულია უქვევლი განდევნობა ამა ცოდვილის ქვეყნისაგან და სრული სიძულილი საზიზღარი მადნისადმი! მაგრამ, აბა მიჩვენეთ, ვინ ხმარობს თუნდაც ერთს მეთათათასედს ნაწილს ამა საოცარის შრომა-მეცადინეობისას გასაუმჯობესებლად — ასე ესთქვათ — სულიერის სამოსლისა და საზრდოისა ჩვენი სულისათვის, რომელსაც ასწილად სხეულზე უფრო შეუძლია იგონოს სიშიშველე და სიმშლილი! აბა ვინ ზრუნავს გზების გაკეთებისა და გაუმჯობესებისათვის ზეცისკენ, სადაცაა ჭეშმარიტი სამშობლო ჩვენ სულთა, სადაც სამოთხეა და ჯოჯოხეთი, სადაც საუკუნო ცხოვნებაა, სადაც ჩვენ ველირსებით სრულს აღსრულებას ყველა ჩვენი იდეალებისას და ვიღებთ შესაფერს ჯილდოს ყველა ჩვენ საქმეთათვის, რომელთაც სჩადის ჩვენი სული, ხორცი

შებორკილი ამ ჩვენს დროებითს ქვეყნიურ ცხოვრებაში? ამ კითხვებზე მკითხველმა თვითონვე უნდა მიხედოს პასუხი.

ღიად, აწ დადგა ჟამი სრულიად სხეულის თავიანის მცემლობისა: ჩვენ ყველანი ვაფუფუნებთ და ვაზვიადებთ თავიანთს მომაკედავ სხეულს, ვემსახურებით და თავიანთს ვსცემთ ჩვენს ძვირფასს გვამს, ყოველს ღონისძიებას ეხმარობთ ჩავსვათ ის ყოველ გვარ სიამე და სიმდიდრეში, — მაგრამ ის კი გვაეციყვდება, მაცხოვარმა რომ ბრძანა: უადგილეს არს აქლემი განსუფად ხერხუსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესვჯად სასუფეველსა ცათასა. (სახარ. მათ. 19, 24.)

ჩვენ ყოველივე ზემო ნათქვამით სულაც არ გვინდა ესთქვათ, რომ აღამანებმა შიშველად იარონ, თავი შიშშილით მოიკლან, მსუბუქს, თავისუფალს და მსწრაფელ ტარებას კუსავით ნელა სიარული ამჯობინონ ოღრო-ჩოღრო ადგილებში, ჩვენ არ გვინდა ესთქვათ, რომ კაცის გამჭკრიახმა ტვინმა თავი უნდა დაანებოს სასარგებლო საშუალებების აღმოჩენას და გამოძებნას, — სრულებითაც არა: ჩვენ, წინააღმდეგ ამისა, ამ მოტყრიალისტურ მისწრაფებას ჩვენი დროისას ვაწერთ დიდ სარგებლობას, რომელიც აშკარად სჩანს მსწრაფელი და შალალი განვითარებისაგან ბუნებით მეცნიერებათა და რკალურ ხელოვნებათა, — ამ უსაჭიროეს და უქვეველ პროგრესის მოძრავ ძალათა. მაგრამ ჩვენ გვესურს მივაქციოთ მკითხველების ყურადღება იმ დიდს ზარალზე და მავნებლობაზე, რომელიც თან მოსდევს ამ სულსწრაფლს და სულმოუთქმელს გაკიდებას ნივთიერი, წუთიერი კეთილ-დღეობისადმი. მარადის სთხრის, იჩუჩქება და მაძკრება მიწაში მადნეულეებათა მოსაპოვებლად, კაცს თან-და თან ავიწყდება ზეცისადმი ცქერა, რომელიც მიტომაც დღეს აღარ სთვლის მას მზა-მზარეული მანნის ღირსად, — და იგი (კაცი) დღითი-დღე მსგავსი ხდება ერთი მეტად უმსგავსო და უწმინდურის პირუტყვისა, რომელიც, სწორედ ამნაირადვე მუდამ მიწაში იჩუჩქება, თუმცა ოკროს საძებრად კი არა, გადაჭარბებული და მეტის-მეტე შრომა კაცის ერთს რომელიმე ამოჩემებულს გზაზე ყოველთვის ჯილდოვდება ხოლმე წარმატებით და ეს წარმატება ხშირად უბადავს კაცს გულში რწმენას თავის ძალა-შემძლებელობაში, — რწმენას, რომელიც, როცა უმწვერვალის ხარისხამდი აღის, იქცევა უსაზღვრო მედიდურობად და ამპარტაენობად. ამ გვარს განსაცდელში ვარდება კაცი განსაკუთრებით ბრძოლის დროს გარეშემოტყ-



მულ ბუნებასთან, რომელიც ყოველი მხრით უღობავს და უხლართავს მას გზას. აი მიზეზი, რომლის გამო დღევანდელი დიდძალი წარმატება ბუნების დამორჩილების საქმეში უბადვენ ჩვენს თანამედროვე კაცს გაზვიადებულს წარმოდგენას თავის ძალღონეზე; როდესაც უამისოდ მოაწმუნე კაცი ყოველთვის, წინააღმდეგ ამისა, ცხოვლად გრძობს თავის სისუსტეს და არაარაობას წინაშე შემოქმედის ყოველად შემძლებლობისა. ამ უბედურმა გაზვიადებულმა წარმოდგენამ დაბადა ეხლანდელი კაცის გულში რელიგიურ რწმენათა ზევეა, ღმერთზე სარწმუნოების დასუსტება, სარწმუნოებრივი გულგრილობა და სხ... გარდა ამისა გამოცდილებით შეტყობილია, რომ საწუთრო, ანგაზი საქმეებით მუდამი მეტადინეობა კაცს აწერილმანებს და აკულქვავებს. ყოველს ფიზიკურს შრომას უნდა ასულდგმულე დეს და აკეთილშობილებდეს რაიმე მაღალი იდეა კეთილ შობლიური მაღალ-ზნობრივი საგანი ჭ მიზანი. არაფითარმა ფიზიკურმა შრომამ, არაფითარმა ფიზიკურმა საქმემ არ უნდა შთანთქას ან მოიცვას მთლად ადამიანის მთელი არსება, ფხარ-და-ფხარ ფიზიკურ შრომასთან საქირა ვარჯიში და ჯაფა სარწმუნოებრივი და ზნობრივი საქმის შესახებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში კაცის ცხოვრებაში ჩნდება დიდი ქარაფი, რომლის შეუესებლად კაცი ვერასოდეს ვერ შესძლებს დადგეს პირუტყვებზედ მაღლა. ტყულად კი არ უთქვამს რუსებს: ზირით იფორე, სელებით იმუშავე — და ღმერთი არ წავახდენსო. საქმე და მუშაობა ხელში კი ბევრს აქვს, მაგრამ რაც შეეხებოდაც, — იმის მაგიერ, საუბედუროთ, პირი სავსე აქვსთ ლანძღვით, ცილის წამებით, ქორებით, ავიენობით და სხვა ამ გვარი სისამაგლით და სიმყრალით. ირანე დვთის მეტყილმა რომ სთქვა: «ქვეყანა ბოროტებაში სძევსო», — სწორედ ესევე ითქმის ამ ჩვენ დროზედაც.


აი საზოგადოდ ამისთანაა საზოგადო სული, რომელიც თითქმის ყოველგან დაქროლავს დღეს ამ ჩვენს ცოდვილს ქვეყანას და ჰბადავს მისს სხვადასხვა კუთხეებში რელიგიურ გულგრილებას, ანუ თითქმის პირდა პირს უღმერთობას და ამასთან, როგორც მათს განუშორებელს შედეგს, ზნობითს განხრწნილებას, ყოველგვარს უთვალავ ბიწირებაებს და სხ... ვუჩვენეთ მოკლედ, თუ რამდენად შესამჩნევია ჩვენში, საქართველოში მიმოქროლვა ჩვენი დროის ამ მართლა სატანიურის სულისა. დიად, ჩვენში საკმაოდ შესამჩნევია ეს სული,

რომელიც ყველა სოფალში უნდა ეხლად დღესაც კი განზრახ არ უნდა შეახსას ყველაფერს ვარდის ფერი, ანდა სრულებით აიხვიოს თვალეები ნამდვილი ცხოვრების წინაშე.

**მღვიმეის დედათ მონათარი (მორაზნის მახრამია).**

დაბა შვირილიდამ სოფელ შიათურამდის იქნება ორმოცდა ხუთ ვერსამდე. სოფელი შიათურა ამ ექვსი წლის წინათ პატარა ღარიბი სოფელი იყო, მაგრამ დღეს ეს პატარა სოფელი შესანიშნავი ადგილია თავისი სიმდიდრით. მე მოვახსენებთ ქვა-გუნდის წარმოებაზე. აქაური კლდე გორები, რომლებიც აქამომდე უწინშენლოდ და უსარგებლოდ მიჩნდათ აქაურებს, დღეს ყველასაგან ყურადღებას იქცევენ. და ვინ იფიქრებდა, თუ ამ კლდე-გორაკებში ასეთი სიმდიდრე იქნებოდა დამალული! ეს კლდე-გორები საკვირვლად არიან დღეს დახვრელილნი.

დღეს შიათურაში რა ჯურის კაცს არ ნახავთ: მართველი, მათარი, ლეკი, მსი, ნემეცი, რუსი, შრანცუზი, ინგლისელი და სხვანი ერთმანეთში ირევიან... რა უნდათ ამ კაცებს აქ? შევილა ესენი მოსულან, რომ იმუშაონ და ფული შეიძინონ. მართის მხრით მდარდებიან ქვა-გუნდის პატრონები, მეორეს მხრით მწარმოებელი და მესამეს მხრით მუშები, რომელნიც სთხრიან ქვა-გუნდს. ქვა-გუნდის წარმოების წყალობით ამ პატარა სოფელში დღეს შენობამ ძრიელ იმატა და თუ შვირილიდამ შიათურამდის რკინის გზა იქმნა გაყვანილი, მაშინ ეს პატარა სოფელი მშვენიერ მდიდარ დაბად გადაკეთდება. ამ სოფელში ისეთი ღარიბი გლეხები იყვნენ ამ ექვსი წლის წინათ, რომ კაპეციკის მოხერხება არა ჰქონდათ და დღეს კი ფულის პატრონები არიან. შურო დიდ ფულს შეიძენდნენ ისინი, რომ მათი უცოდინარობით არ სარგებლობდნენ ზოგიერთი ქვა-გუნდის მწარმოებელი და წონაში არ პარავდნენ მათ ფულს. ხშირი შემთხვევა არის, რომ გლეხმა ადგილზე ოცი ფუთი ქვა-გუნდი მიიტანოს, მაგრამ აწონის შემდეგ მას ეუბნებიან: «შენი მოტანილი ქვა ათი ფუთის მეტი არ გამოვიდაო და ამის ანგარიშზე აძლევენ ქირას, გლეხიც ემორჩილება და ართმევს, რასაც აძლევენ.



პიათურიდამ მღვიმეის დედათ მონასტრამდის ორი ვერსი იქნება. შვირილის დიდი გზიდგან მაცხნით, ჩრდილოეთისკენ, ერთ დიდ გამოქვაბულ კლდეში კაცი შენიშნავს ეკკლესიას და რამდენიმე სახლს. ეს გახლავსთ დედათ მონასტერი, რომელიც მთელს იმერეთის ეპარქიაში ერთადერთია. ამ მონასტერს მდინარე ყვირილა მარჯვნივ ჩამოუდის. შესავალი კარები მონასტერს მხოლოდ ერთი აქვს. ამ გზას რომ შევივლით, მერე უნდა გადაიაროთ თვით კლდეში გამოჭრილი გზა და მიადგებით მონასტრის ჭიშკარს, მერე გაივლით დედათ სენაკებ შაატ, გაძვრებით კლდის ჭიშკარში, გაივლით კლდეში გამოჭრილ გზას და მიხვალთ ეკკლესიასთან.

ეკკლესია, მართალი უნდა მოგახანოთ, გასაცარი ხელოვნებით არის მიშენებული თვით კლდეზე. ბალავრიდგან დაწყებული ეკკლესიის კედლები ერთ გვარი თლილი სიპი ქვით არიან აშენებულნი, რომლებზედაც არიან მშვენიერის ხელოვნებით, ჩუქურთმით, ამოჭრილი სხვა და სხვა სახეები: გვირგვინები ჯვრები, ცხვრები და სხვა. ეკკლესია დახურულია ყავრით, მაგრამ სახურავი სულაც არ არის საჭირო, რადგან ეკკლესია ვებერთელა კლდით გადმოხურულია. ჩრდილოეთისკენ, ეკკლესიის იქით არი დიდი მღვიმე, რომელშიდაც მშვენიერი წყარო ჩამოჩანჩქარებს და, რომელსაც აუშენებია დიდი ქვიშის კლდე ისე მტკიცეთ, რომ წალკატირაც რომ სცემო, ერთ ფინჩხასაც ვერ შეგაღებ. დასავლეთით ეკკლესიისა არის პატარა ძველი სამწირველო; ამ სამწირველოს და ეკკლესიას შუა არის ორი საფლავის ქვა, როგორც ზედ წარწერისაგან ჩანს, ერთი საფლავი საქართველოს მეფის ბიორგისა არის და მეორე—მისი მგულის მხეხათუნ ბატონის შვილის, ლადიანის ასულისა. ძველებზე აღარც ქორონიკონია და აღარც ის, თუ რომელი ბიორგი ასაფლავია აქ.

ეკკლესია სივრცით პატარაა, მასში კანკელი ძველი ხელოვნებისაა, კედლები დახატულია, მაგრამ ძალიან წაბლალული. ეკკლესიაში არის დასვენებული ოთხი ხატი: ორი მაცხოვრის, ერთი ლეთის მშობლის და ერთიც ნათლის-მცემლისა, ყველა ხატები ვეცხლისაგან არიან გაკეთებულნი და ოქროს წყალში დაფერილნი; ოთხივე ხატზე აწერია ასო მთაწერის ხელით: «არსთა ხსნისათვის ქვეყნად მოსულთა მრისტე ლმერთო, მიხსენ მეცა მკობი ხატისა ამის შენის სჯულისაგან რაჟის მრისთავი რატი; ჩრდილოეთის მხრით კედელზე არის ორი სახე დახატული, რომლებს ქვეშ აწერია: «ამა

ეკკლესიის აღმაშენებელი რაჟის მრისთავი ძახაბერი რატი, მეუღლე მისი რუსუდანი». ქორონიკონი წაბლალულია; მაგრამ, თუ ეს ძახაბერი ის ძახაბერია, რომელმაც თამარ დედოფალს ხმალი შემოარტყა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეკკლესია არის აშენებული მე-XIII საუკუნეში. როგორც სახარების ზედ წარწერიდან ჩანს, იმერეთის დედოფალს ანნას შეუწირავს მონასტრისათვის თვით სახარება ვერცხლით მოჭედილი, ძვირფასი ბარძიბ ფეშხუმი, კამარა, ძვირფასი ჯვარი. ერთი ხელი შესამოსელი და სხვა წვრილი საეკკლესიო ნივთები. აგრეთვე იმერეთის მეფის სოლამონის და მისი მეუღლის მარიამისაგანაც აქვს ეკკლესიას შემოწირული რამდენიმე ნივთი.

ტრაპეზზედ ასვენია ერთი პატარა ხელთნაწერი სახარება ვერცხლის ყდით, ოქროში დაფერილი; ყდაზედ აწერია: «მღვიმის არხიმანდრიტი იოანე მხილველთა მიერ შენდობასა ვითხოვ. წელსა 1819». უკანასკნელ ფურცელზედ აწერია სახარებას: «ეს წმიდა სახარება მანანის ციხე რომ აიღო ლეკმა ხუნძახალმა, მაშინ აეტანათ ახალ-ციხეს და იქ მიეყიდნათ ურისთვის, იქიდან ურიამ ჩამოიტანა და ანნა დედოფალს მიჰყიდა და შემდეგ აქ მღვიმეს რომ ბრძანდებოდა, მაშინ ცხენი მთხოვა და მივართვი ამაში და ის ცხენი ბატონის სახლთ ხუცესის-ხურაბ წერეთლის ნაბოძები მყავდა. მოვიტანე სახარება ეს და შევამკობინე წმიდა მაცხოვარო მღვიმისაო და დაეასვენე წმიდა ტრაპეზსა ზედა ოქროთ ცურვილი ესე სახარება თავისი სამკაულითა და ვინც გამოწიროს, იყოს წყეულ და შეჩვენებულ ორივესა შინა საუკუნესა ცხოვრებასა. 1813 წელსა. უღირსი ბერი იოვანე არხიმანდრიტი».

მონასტრის კრებული შესდგება 30 მონოხნებთაგან, რომელთაც ტრაპეზი ერთი აქვსთ. «მეფუნდის» მადანი მონასტერს 25 ქცევამდი ექნება, მაგრამ მისი წარმოება კულად მიდის და მონასტერი მით ბევრს ვერას სარგებლობს დღეს.

მონასტრებს აქვს სხვა ადგილებიც, რომლებიც შეწირულნი არიან ძველის დროიდან მართველებსაგან. რაჟის მრისთავს ძახაბერს რატის აუშენებია ეკკლესია. ლეთის მოსავთა მართველებს მიუციათ მონასტრისათვის სარჩო-სამყოფი და დიდ წყევას და შეჩვენებას უძღვნიან მათ, ვინც ჩვენი შენაწირი გამოწიროსო, მაგრამ დღეს ბევრი ცდილობს, რომამ მონასტერს მათ წინაპართაგან შეწირულნი ადგილები ჩამოართვან და დაისაკუთრონ. მა ფაკრა მცხადათ



ამტკიცებს, თუ რა განსხვავება არის ძველს და ახალს ქართველებში. ჩვენი წინაპარნი ამენებდნენ და ამკობდნენ ეკკლესიებს და სარჩოს აძლევდნენ მათ კრებულს; ხოლო ჩვენ დღეს ვმეცადინობთ ეკკლესიებს ჩამოვართვათ ის, რაც ჩვენ წინაპართ შეუწირავთ.

ბლად. მდ. იოსებ წერეთელი.



**პანკისის ხეობა. (თიანეთის მაზრა).**

პანკისის ხეობა შეადგენს თითქმის მთელს ქანეთის თვალს. მისაც კი უმგზავრია ამ ხეობაში, ყველანი ამტკიცებენ, რომ ამისთანა შემკობილი ხეობა არ არის თითქმის მთელს საქართველოში. ხეობა სუყველაფრით მდიდარია: ჰაერით, ტყით, წყლით, შეძლებით და სხვით. იგი სძევს თიანეთის მაზრაში, რომელიც აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრით შემოფარდულია მშვენიერის ტყეებით და მთებით; სამხრეთით დაინახამთ კავკასიის საძოვარს მთებს, საიდგანაც გამოდის მდინარე ალაზანი და ჩამოუღდის ამ ხეობას მარცხენა მხრით. მთების შუა სძევს დაცემული ვაკე ეკკლესიად მორთული მუხის ტყით.

ამ საუკუნის დასაწყისს ეს ხეობა ეკუთვნოდა თუშებს, მაგრამ 40 წლის წინეთ თიანეთის მაზრის გამგებლების ნება-დართვით გადმოსახლებულან მთიელი ქისტები—სოფელ მაისტიდგან ას კომლამდე, დასახლებულან ორ სოფლად, რომელთაც დაერქვათ: ზოყოლა-სოფელი და ღუი-სოფელი \*). მიზეზი ამ ქისტების გადმოსახლებისა ის ყოფილა, რომ სოფელი მაისტი მეტად უებრგის ადგილს მდებარეობს. მაგალითი არ არის, რომ პოლიციის მოხელეს გაველოს იქ,—ცხენით სიარული ყოველად შეუძლებელია და ქვეით-კაცსაც დიდი სიფრთხილე მართებს. ამ სოფელში ხენა-თესვა არ იციან და არც მოხერხდება. მადმოსახლების წლის შემდეგ, პანკისის ხეობაში, ზოყოლა-სოფლებს განუძრახავთ ქრის-

\*) ზოყოლა და ღუი არის კაცების სახელები, ესე იგი ვინც მათთან ყოფილან თავი კაცები, რქმევიათ სახელად ზოყოლა და ღუი; ესე კაცების სახელები გადაქცეულა სოფლების სახელებათ.

ტიანობის მიღება. რადგან ამის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ მათ გარეშემო არტყიათ ქართველების სოფლები, რომლებთან დაახლოება აუცილებლად საჭირო იყო. ბარდა ამისა, ამათ ისიც ჰკონებიათ, რომ რაკი მოეინათლებითო, მთავრობაც შალავათს და შემწეობას რასმე მოგვეცემაო. როცა ღუი-სოფლის ქისტებს შეტყუათ ზოყოლა-სოფლები ინათლებიანო, დევშალნათ, მაგრამ დაშლითაც არა გამოვიდა რა: ოც კომლზე მეტი ქისტები თაეინათის სახლობით მონათლულიყვნენ. მიდრე მონათლებოდნენ, ზოყოლა სოფლის ქისტები გარდასახადს იხდიდნენ 1 მ. 20 კ. კომლზედ, რამდენიც ეხლაც აძევთ ღუი-სოფლებს. გაქრისტიანების შემდეგ კი მოუმატეს, ასე რომ ეხლა იხდიან კომლზე 3 მ. 55 კ. ეს განკარგულება ერთის მხრით კარგია, მაგრამ, მეორეს მხრით, მან დიდი გავლენა იქონია ღუი-სოფლის ქისტებზედ; ენეი იმ ნაირათ შეაშინა ზოყოლა-სოფლებზედ ხარჯის მომატებამ, რომ რამც თუ იგინი მონათელას არ ჰფიქრობენ, არამედ მასალა მოამზადეს, რომ ამ შუა ძახეთში მეჩეთი დაშენონ.

ამ ზოყოლა-სოფლებზედ ხარჯის მომატება ძლიერ არ მოეწონა ჩვენს მაზრის უფროსს ბ. ჯანდიერს და მან მიმართა თხოვნით მთავრობას, რომ იმათი ხარჯი და ღუი-სოფლებისა გასწორებულ იყო. მაგრამ მთავრობამ ახალი აწერის მოსვლამდე საქმე უშედეგოდ დაატოვა.

მაზრის სამმართველოს თარჯიმანი ე. გუგუშვიდი.



**ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .**


ვარძიის მონასტერი.

1156—1212 წ.

(გაგრძელება).

ამ მთის მიხვეულ-მოხვეულ მგზავრს გზა მიიყვანს იმ ძველ შესანიშნავ ხელოვნებით აშენებულ ორ-სართულიან ოთხ-კუთხედ კამარულათ გუმბათიან სამრეკლოში (გუმბათი ჩამომგრეულია), რომლის ჩუქურთმით ძველ ხელოვნებას შეიდასა წლის განმავლობაში მტკრთა ხე-

\*) იხილე ამწევშია, № 5.



ლიც ვერ შექნება. ამ ძველი ხელმოწერის კედლის ქვედა  
 ამ რვა წლის წინათ ჩამოუწერვეთა მანსტრის მოთავეს  
 და ამ ქვებით საკურთხეველში დაუგია იატაკი.

უკვლავ გონიერი მხსველისგან გასაიცხია ამისა  
 მომქმედი, იმიტომ, რომ იმას დაურღვევია ის ძველი  
 ხელმოწერის ძვირფასი ნაშთი, რომელსაც მტერიც ვერ  
 შექნება. გასაიცხია ის უფრო იმიტომ, რომ კარზე  
 ჭქონდა სხვა ქვები მოეხმარა იატაკისთვის.

მგზავრი გაიკლას ამ სამოკვლავს ოთხსკედეაშუა. საშუალო  
 ზემო და ქვემო სენაკებით, მიადგება რკინის დაკეტილ  
 დიდ კარს. რომელსაც გარკვეულ მტერიც ვერ ავსებს.

აქ კაცი ეკითხები შენს თავს და ამბობ: «აქ კვლავ  
 მეტი რა უნდა იყოს? მაცრამ გაიღება თუ არა ეს კარი,  
 თვალ წინ წარმოგიდგება ეკვლეისის შესავალი კარი,  
 ეკვლეისის მალაღი გეგელი, ბისანტიური მხატვრობა წმი-  
 დათ: ღვთაური სამართალი, მე ღვთისა საუდართა ზედა  
 მკვლამარე და ანგელონი მისთანა, წმიდანი წინასწარ-  
 მტყველნი და მოცაქელები, მეფენი, მკვლავთ-მოთავარი  
 და მსაჯულნი ამ ქვეყნისანი, ეკვლეისა და მოღვაწენი,  
 სულის მართალთა და ცოდვილთა. თევზნი, მფრინველნი  
 და მხერნი, ცერხლი, გველეშაბი, სასწორი, სამართალი  
 და სხვ.

აქ მარჯვნივ გასვალ კამარის ზემო საკურთხე გან-  
 უფოვლებია გამოსატყუნი: მაცხროვარი, ღვთის მშო-  
 ბელი და იოანე ნათლის მცემელი. როგორც ეტობა  
 აქაც სამწირველად ჭეოფილა. მხსველი უიბოთ ვერ ავა.  
 ამ კარის ბჭეში სამხრეთისკენ გამარჯვლათ აშენებულია  
 სამი მალაღი მალაღი სკეტი, თითო ადგიანი თლილი  
 ქვებისგან, კვლავ წინა პირის სიმაგრისათვის, რომლის  
 გვერდით მაშენებულია ბურჯი.

კარის ბჭეში ცაზე გამოსატყუნი: ურემა, უღელა,  
 ხარები. ერთი და-ძმა ზღელა ხელ-გამკრობით. ჯვარსეთის  
 მოხურნი წინა-პირთა ცდომილით მოგვიტოვებენ, რომ  
 როდესაც სპარსთა ჩვენი ქართველნი ტყვედ წასხეს, მაშინ  
 ამ იღბალს მოხვდენ ეს ორი და-ძმა, რომელნიც სვა-  
 რასანში ჰყავდათ მოსამსახურედ სხვა და-სხვა პირთა.  
 ერთ დროს ესენი ერთმანეთს შეხვდენ წყლის ადებში  
 და ვაჟმა უთხრა დას: «დაო, ჯერ მე ავიღებ და მერმეთ  
 შენ». ქალმა მიუგო: «საიღამ უნდა იყო ჩემი ძმა?» «გულის  
 მეუბნება, რომ შენ ჩემი და უნდა იყო, მიუგო ვაჟმა».

ქალიც თაქნში ჩავარდება და ეკითხება მის ვინა-  
 ბას. ისიც ეტყვის: «ქართველი ვარ, შატრლობის დროს  
 წამოყვანილი» «მეც ქართველი უნდა ვიყო შატრლობის  
 დროს წამოყვანილი», ეუბნება ქალი.

ერთმანეთს ჭკითხეს, თუ რომელს უბანში დგანან,

რომ კვლავ მოენახათ ერთმანეთი. წმიდას კვლავ აცხრო-  
 ბინა მათ, რომ ისინი და ძმა არიან. ერთს დროს მკვლად  
 შეიყარნენ მოაგონდათ მათი სამშობლო, წარმოიდგინეს  
 მათი გაჭირებული მდგომარება მწუხარებით—ცრემლით  
 სთხოვეს ღმერთს. რომ გამსდარიყვნენ ბედნიერი მათი  
 სამშობლო ქვეყნის ნახვით. მსურვალის გულისთ ღვთის  
 გედების შემდეგ. ვნახოთ, რომ გამოქმედი საბებით  
 შემოულ ურემხედ სხედან დილით მათ სამშობლოს სო-  
 ფელ აფიანში. რომელიც პირ-და-პირ შეჭეულებს ვარსის.  
 პირუტყვთ იქ მიუყვანიათ ისინი სადაც მლოცვნი ჭეო-  
 ფილან შეკრებილი და მათ შორის მათი დედ-მამაც. და-  
 ინახეს თუ არა ისინი მშობელთა თვისთა, იმ წამსვე  
 ხელ გაზურობით მივარდნენ ოცი წლის დაგარგულ შვი-  
 ლებს და გადაეხვივნენ... ხალხმა გამოცხილთა მათი ვინა-  
 ბა და მიუთხრეს უოგელი ის, რაც ზევით ვახსენეთ.  
 ამის სახსოვრად გამოუხატავთ ზემოხსენებული სურათი.

ამ კარის ბჭეში შედის რკინის გამცვიფრებელი  
 (СВОДОПРАЗНО) გამარჯვლათ გამოკვეთილ დიდებულ ტა-  
 მარში, რომლის ცა და კედლები არის შეკრული ვინან-  
 ტური მხატვრობით. ტამარს შიგნით აქვს სიგრძე 7  
 საყუბი და ნახევარი, განი 5 საყუბი, სიმაღლე 7 საყუბი.  
 აქვს ორი კამარა: ერთი განყოფის განკველს და საკურთხე-  
 ველს. რომლის თავზე არის ხეცური ასო მთავრულით  
 ეს წარწერა: «ყოვლად წმიდაო დედოფალო, შემწე ექმენ  
 დედოფალ თამარს».

საკურთხეველის ცაზე დიდის ტანით გამოსატყუნი:  
 ღვთის მშობელი, ხელში უზურია მე თვისი და ორნი  
 ანგელონი იქეთ აქეთ. როგორც გელათის მონასტრშია.  
 ამ სტისათვის თათრებს თოფი უსურიათ და ალაგ ალაგ  
 ჩამომკრეულია მხატვრობა, მაგრამ თოფის მსროლელ  
 თათარს ხელი იმ წამსვე გასმობია და მას აქეთ თათრები  
 კარძიან უწოდებენ: «ზიარათს» (სასწაულს). საკურთხე-  
 ვლის კედლებზე გამოსატყუნი: წმიდანი მოციქულნი და  
 ღმერთ შემოსილნი მამანი. სრულიად ეკვლეისა დასატყ-  
 ულია ქრისტე ღმერთის სასწაულებითა და წმიდათაგან.

აქური მხატვრობა და ბერძნული ქართული წარწერა  
 გვარწმუნებენ, რომ სობის მონასტერი (მეგრელიაში) და  
 კარძიან უნდა იყოს ერთ საუფუნეში ერთი არსიტყვეთის  
 მხატვრობა. სობი დასავლეთ საქართველოში. სხვათა  
 შორის, ხომ მეფე დავით აღმაშენებელის საწამთრო  
 სამეფო იყო.

საკურთხეველის მალაღ-დასავლადილიდამ იმრველიც  
 შიგნით ეკვლეისის აქვს ბაქანი. აქვს ორი კარი: სამხრე-  
 თის და დასავლეთის. სამხრეთისკენ აქვს ცხრა ფანჯარა;  
 ოთხი ამოღანი მალაღ მალაღი, ორი საკურთხეველის და  
 ორი ეკვლეისის სახათობელად. ამით გარდა კიდევ ხუთი



ფანჯარების, რომელნიც საკმაოდ ანათებენ ეკლესიას და ვეკლას ჩრდილოეთისკენ საკუთარ განუოფილებაში გაქოკვეთილთა, ე. ი. უწინდელ სამკვეთლოს, ჰატარას სსსაფლას ეკლესიას და სხვას.

წინამძღვარი ვარძიის მონასტრისა მღვდელ-მონაზონი კალისტრატე.



**ახალი აგებები და შენიშვნები.**

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ერთი სანდო პირისაგან შემდეგი საყურადღებო წერილი:

«**პ**ირი მეგრელი ყმაწვილი კაცი მოსულა ს. ჭიათურაში შავი ქვის სამუშაოთ, მაგრამ, რადგან აქ საქმე ვერ გაურბებია, წამგზავრებულია ჭერათხევისკენ და იქ დაუწყია შავი ქვის წარმოება; ამ უკანასკნელ დროს იქაც ამოჩინეს შავი-ქვა. **პ**ირი ღამე ამ მეგრელს გაუთვია ჭერათხევის დუქანში, სადაც მის გარდა ყოფილან თავადნი ამირეჯიბნი. მდღუქნეს ამ ღამეს დაჰკარგვია 150 მ., რომლის მოპარვა შეუწამებიათ მეგრელისათვის, მაგრამ მას დამნაშავეთ არ უცენია თავი, რისთვისაც საწყლისათვის, როგორც ხმაა, მიუყენებიათ სასტიკი ტანჯვა: ჯერ გაუშიშვლებიათ საწყალი და ხეზედ აუკრავთ; ოთხი დღე და ღამე ისე ყოლიათ, მერე მიუკიდებიათ ცეცხლი, ხიღამ ჩამოუხსნიათ და გაელვარებულ ნაკვერცხლებზედ ფეხებით დაუყენებიათ. უკანასკნელად წყალში ჩაუყენებიათ; ერთის სიტყვით, ყოველ გვარი ტანჯვა მიუყენებიათ საწყლისათვის, მაგრამ მეგრელს ყოველივე სულ გრძელად აუტანია და არ უცენია თავი დამნაშავეთ. რამდენიმე დღის მერე მოშველებია საწყალს დედა, ძმა და მართებლობა, მაგრამ მგონია გვიან. როგორც ამ ბოლოს აღმოუჩინიათ, დამნაშავე ამ საქმეში სულ სხვა ყოფილა».

\*\*\*

**მ**ოთხმეტ ამ თვეს სილაზე პეტრე პავლეს ეკლესიაში მოხდა ერთი გულის შემაწუხებელი უწესოება: როცა ამ ეკლესიის მღვდელი მ. ნ. ხუციევი ლეთის მსახურებას ასრულებდა, ეკლესიაში ზოგიერთ მლოცველებს შორის რაღაც ხმა მალღივ ლაპარაკი მომხდარა. მ. ხუციევი გამოსულა სა-

კურთხევილიდამ და უთხოვია მლოცველებსთვის, რომ ეკლესიაში ლაპარაკი და ჩხუბი არ შეიძლება და, თუ შეიძლება, გაჩუმდითო. ლაპარაკი შეწყვეტილა ცოტა ხანს, მაგრამ მერე ისევ დაუწყიათ. მერეთ გამოსულა მ. ხუციევი და კიდევ უთხოვია, რომ ჩუმათ ყოფილიყვნენ და ან გარეთ გასულიყვნენ მოლაპარაკენი. მს მოძღვრის სიტყვები სწყენია ერთ ვილაცა პირს და მღვდლისთვის შეუყვია, რომ თქვენ მე შეურაცხებას მაყენებთო. ამაზე მ. ხუციევის მოუხსენებია, რომ მე თქვენ პირადათ არ გეხებთ, მე ესთხოვე გარეთ გასვლა იმათ, ვინც ლაპარაკობდნენ. მს პირი გასულა გარეთ და მერე შემოვარდნილა ეკლესიაში ამოღებული ხანჯლით და პირ-და-პირ შეუტყვია ამბიონზე მდგომი მღვდლისათვის, მაგრამ ეკლესიაში მდგომთ ეს პირი გაუკავებიათ, წაურთმევიათ ხანჯალი და მერე პოლიციის მოსამსახურეებისათვის გადაუტიათ. საქმე შეუდგენიათ და ბრალდებული საპატიმროში გაუგზავნიათ.

\*\*\*

**ჩ**ვენ შევიტყვეთ, რომ 15 ამ თვეს სოფელს შრომას (შორაპნის მაზრაშია) ერთი ეკლესია გაუტეხიათ და წაულიათ ვერცხლის ბარძი-ფეშხუმი, კოვზი და კამარა, რომელნიც ღირებულან რვა თუმნათ; გაუტეხიათ ეკლესიის კრუშკა და იქიდგან ამოულიათ 15 მანეთი. შევიტყვეთ ისიც, რომ ქურდები დაუტყრიათ და მოპარული ნივთები უკან დაუბრუნებიათ. ქურდები დაიჭირეს თვით საფლავლებმა სანამ პოლიცია და გამოამედიებელი თავს შეიღებდნენ.

\*\*\*

**21** ამ თვეს, ღამით, ათ საათზე, ქუთაისის საპატიმროს ლაზარეთიდამ ტუსაღები გაიქცნენ. ამბობენ, რომ ამ ტუსაღებს გაქცევის წინ ერთი ყარაული სალდათი დაუტყრიათ. ბაქცევა ნაპირება შვიდს კაცს; მაგრამ ამათში სამი ტუსალი დაუტყრიათ და ოთხი კი გაქცეულა ისეთები, რომელთაც კატორგა ჰქონიათ გადაწყვეტილი. ბეიკვირს, ავთ-მყოფებმა როგორ შეიძლეს ამდენი ბოროტ-მოქმედების ჩადენა!

\*\*\*

**ხ**მები არის, რომ ლეჩხუმის მაზრა და სვანეთი ისევე იმერეთის ეპარქიას შეუერთებინ.

საჭირო და სასარგებლო ცნობები.

წინა პირველი ნიშნები სხვა და სხვა ავთომყოფობათა, რომლებიც ხშირად გადამდეგ სენათ იტყვიან.

ყვავილი. ამ სენის წიხ კაცს ეძლევა მეტი სიცხე, ხან დის-ხან პირსაც ასაქმებს და წელი სტკავა; ავთ-ყოფს ხშირად ძინავს და აბოდებს. მესამე დღეს სიცხე უკლებს და გამოჰყრის პირველად პირის სახეზე და მერე თელს ტანზე. ეს მუწუკები არიან წითლები და მრგვალები, რომლებიც შექმდებიან თვის დიდდებიან და მერაღი ჩირქით ივსებიან.

ქარის ყვავილი ეს სენი იწყება შემდეგი სახით: ტანზე ალაგ-ალაგ გამოჩნდებიან პატარა წითელი მუწუკები. ეს წითელი მუწუკები შემდეგ გადიდებიან და ივსებიან წელის მზგავსი წვენიით. მუწუკები ქინძის თავის ოდენანი არიან, მაგრამ ხან მეტიც იქნებიან. ისინი მალე შრებიან ანუ შათში რომ წყალი სდგას, იმღვრება და შემდეგ შრება. ამ ფერი მუწუკები კაცს უჩნდება თავზედაც. ამ ავთ მოყოფობის წინეთ კაცს კიდევ შეაცივნებს ცოტას, ამ სენს არაფერი მზგავსება არა აქვს ნამდვილ ყვავილთან.

წითელი. წითელას პირველი ნიშნები შემდეგია: კაცს შეატივებს, თვალეი უწითლდება და ეცრემლება, სინათლის შეხედვა ეზარება, ამცხიკვებს და სამი დღის შემდეგ ამ გვარი მდგომარეობისა ნიკაპზე და პირის სახეზე გამოჩნდებიან პატარა ყვავილის ფერი ლაქები. შემდეგ ამისთანა ლაქები გამოჩნდებიან გულზე, მუცელზე, ზურგზე, ხელებზე და ფეხებზე. ალაგ ეს ლაქები ცალ-ცალკე არიან და ზოგან შეერთდებიან ერთმანეთში.

ყელი სტკივილი. ამ ავთომყოფობის წინეთ კაცს სცივა, მერე აძლევს ძრიელ სიცხეს, პირს ასაქმებს და მერე ყელი ასტკივდება. ხშირად ამ ავთ-ყოფობის წინეთ კაცი მოსწლოტლოა. მაგრამ ხშირად ეს ავთ-ყოფობა უჩნდება მოულოდნელად ტან-მრთელ ბავშებს, რომელნიც წინეთ კარგად იყვნენ. თორმეტი საათის ანუ ერთი დღის და ღამის შემდეგ ავთომყოფს გამოყრის პირველად ყელზე, გულზე და ზურგზე და შემდეგ მოელ ტანზე და მერე ცხვირზედაც. ზედა ლაფში და ნიკაპი უყვითლდება. ტანზე დაყრილ ლაქებს მოწითალო ფერი დასცემთ და რომ გამადიდებელი შუშით დააკვირდეთ, შენიშნავთ ურიცხვს მოწითალო ნიშნებს. ეს ავთომყოფობა ხან მალე გავლის, ხან დიდ ხანს გრძელდება და ზოგ შემთხვევაში კიდევ ვერ გაიგებს ამ ავთომყოფობას, მინამ ტანზე განსაკუთრებით ხელებზე და ფეხებზე ზორცისკანი არ აქერწყლება ავთომყოფს.

ხურკება. ამ სენის წინეთ კაცს მოულოდნელად შეატივებს, რომლის შემდეგ აძლევს ცოტა სიცხეს, რომელსაც მოსდევს ბოდვა და ავთ-ყოფს მეტის-მეტად სწყუ-

რია. პირის სახე წამოწითლებული აქვს, თვალეი უწითლდება; ენა მშრალი აქვს და ზოგჯერ ენაზე გადაკრული აქვს შავი კანი. სამ ანუ ოთხ დღეში ამ ნიშნების გამოჩენის შემდეგ გულზე, მუცელზე და ზურგზე გამოჩნდებიან წითელი ლაქები, რომლებიც შემდეგ ხელებზე და ფეხებზედაც გამოჩნდებიან და ზოგჯერ პირის სახეზედაც. ეს ლაქები ქინძის თავის ოდენანი არიან.

რედაქციისაგან.

თბილისს. მ. ჯ—ს. თბილისის ქალაქის ქუჩების უწინდურობაზე და ტალახიან გზებზე წერა თბილისის გაზეთების საქმეა. თქვენი აზრი შემცდარია, ყველა სოფლელი შენატრის დღეს თფილისს ქალაქში ზოგადეულობის სიიფს.

სოხუმს. ან. ჯ—ს. ორმოც წელიწადში არაფერი გვიანხავს გაკეთებული თქვენი ნაქები კაცი-საგან და სიბერის დროს რა ხერხს უნდა მოეულოდეთ... გარწმუნებთ, ვინც უნდა იყოს, დაცემულ ქვეყანას მაინც ვერ ალაღვინს!...

ზ—ს. მედ. ი. ქ—ს. თქვენი სიტყვის დაბეჭდვა უურნალში არ შეიძლება.

ს. გ—ს. მლ. ჯ—ს. თქვენი სიტყვისათვის, სამწუხაროდ, ადგილი არა გვაქვს.

ს. ზუბს. მლ. ბ. ი. ან. თქვენი წუნილი არ იბეჭდება.

ს. კ—ს. მ. ა. ა. რასაც კაცი იტყვის ენით, ყოველივე მისი დაბეჭდება არ შეიძლება!...

ზ—ს. მლ. ა. ვ—ს. თქვენი სიტყვა დაავიანებულია და ამისათვის არ იბეჭდება.

ოკრიბს. მლ. ვ. დ—ქს. თუ ხარჯს არ მოკრძობით, ალკე წიგნაკათ რომ დააბეჭდვინებდეთ წმიდა მოწ. თეკლეს ცხოვრებას, კარგს იზამთ. ეზღანდელი ცხოვრების შესახებ თუ რასმეს გვაცნობებ, კარგი იქნება.

პარიჟი. ს. გ—ს. თქვენი პოემა არ იბეჭდება.

ზუგდიდს. გ. ჯ—ს. ბევრს რასმეს ასრულებენ ზოგიერთნი უსწავლენი, მაგრამ ამაში მათი უმფროსები უფრო დამნაშავენი არიან.

ღერხუმს. მლ. ი. თ. ქს. განა ბავშებს მიტომ ასწავლიან, რომ თანამდებობის ადგილი დაიკაონ?.. შემცდარი შეხედულება არის სოფლის სკოლებზე... იმიტომ კი არ უნდა ასწავლონ სოფლის ბავშებს. რომ თანამდებობა იშოვონ, არამედ იმისთვის რომ რიგანი კაცები გახდნენ...

შინაარსი ძელი დრო დაკვიდვა ჭ რა ზომები უნდა კინძართ ხაღსში ხეობის ასამაღლებლად — შორანის მარდიამ.—თიანეთის მარდიამ.—კარბიის მონასტერი.—სახლი ამბები და შენიშვნები.—საჭირო ჭ სასარგებლო ცნობები.—რედაქციისაგან.